პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით
ხუთშაბათი, 14 აგვისტო 1924 წ.
წელიწად- მეოთხე
ფასი 3 კაპ. ჩერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი არმიელი

№ 572
ქ. მ. დ. პოლიტ-გან-ის ყოველდღ. გაზეთი
რედაქც. მის. ტფ., ჯორჯიაშვილის ქუჩა № 8. საველე ელ. 16
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც. ნომპარელის სტრიქონი
სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათმდე

განცხადება.

ორშაბათს, 18 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე, სახალხო სახლში (ყოფ. ზუბალაშვილის სახელობის), დანიშნულია ტფილისის საბჭოს სხდომა.

დღის წესრიგი:

1) საბჭოს დებულების განხილვა.
2) საინფორმაციო მოხსენება საბჭოს განყოფილებათა მუშაობის შესახებ.
3) მიმდინარე საკითხები.

საბჭოს ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

იმ საბჭოს წევრებს, რომელთაც არ მიუღიათ საბჭოს ჟურნალი ,,მოამბე" № 2/6 სექციებს და აღმასკომის სხდომაზე – მიიღებენ ასეთს აღმასკომის სტატისტიკურ განყოფილებაში ოთახი № 66.

პრეზიდიუმი.

მივაქციოთ ყურადღება შინაურ ცხოვრებას.

თითეული სამხედრო უფროსი ვალდებულია არა მარტო იმისა, რომ სამხედრო საქმეში გაწვრთნას თავის ერთეულის წითელი არმიელი, არამედ იმისაც რომ დაახლოებით იცოდეს წითელ არმიელის ყოფა-ცხოვრება, მისი ვითარება, გასაჭირი და დასალხინი.

ეს საჭიროა, როგორც სამხედრო საქმის სათანადოთ შესწავლისათვის, აგრეთვე შინაურ ცხოვრების მოკეთება-მოგვარებისათვის.

ყაზარმული ცხოვრება—ჯგუფობრივია.

სხვა და სხვა ფერის, ადათის და ზნის ხალხი იყრის იქ თავს.

ხალხში ყოველნაირი ადამიანია. ყაზარმაშიც ეს ყოველნაირობა აუცილებელ მოვლენას შეადგენს.

ცუდი ზნის ხალხი ბევრია.

არ იცის ამხანაგური გამტანლობა, გასაჭირში დახმარება.

ბევრი გულუბრყვილოა.

ნდობით აღჭურვილი.

ტლანქს და გამოქექილ ყმაწვილს შეუძლია ამით სარგებლობა. შეიტყობს მის სუსტ მხარეებს და შემდეგ ამუშავებს, ისე როგორც სურს. ბევრჯერ იციან ასეთებით სარგებლობა ჩაის მოსატანად, პურის სასყიდლად.

ზოგიერთი შინიდან ორიოდე გროში მოუვა შუშა ოქროსავით ინახავს შავი დღისათვის. მელა-კაცი მოისუნავს ამას; დაეღრიჯება „ხვალამდე" მასესხეო და მერე უყარე ლორებს კაკალი სანამ ეს „ხვალე" „როდინობის კვირეთ" არ გადაიქცეს.

გამსესხებელიც კრინტს ვერა სძრავს.

თქვას, ვაი თუ არა გამოვიდეს რა, ან ნაცნობებმა ეგებ დასცინოს ასეთ გაბრიყვებისათვის.

და არის ასეთ წვაში და დაგვაში.

რასაკვირველია, სასურველი არ არის, არამც თუ ასეთი ნაკლი ჩვენს ნაწილებში, არამედ უფრო უმნიშვნელონიც. მაგრამ „კაცნი გვქვიან შვილნი სოფლისა".

შეცდომანი და შეცოდებანი ჩვენში არის.

ამიტომ საჭიროა უფროსთა და პოლიტიკურ მუშაკთა შემადგენლობამ ამ მხრივ თვალი დაიჭირონ.

არა უფროსის ხმით, არამედ მეგობრულად და ამხანაგურად გამონახონ ასეთი შემთხვევები. მიიღონ მათ მოსასპობად ამხანაგური ზომები.

დახმარება—დაჩაგრულს, გამოსწორება—დამჩაგვრელს.

ეს არის ჩვენი შინაური ცხოვრება. მას გარეშე ძალის დახმარება არ ესაჭიროება.

უფროსის თვალყურს კი მოითხოვს.

მივაქციოთ ყურადღება შინაურ ცხოვრებას.

ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულების გარშემო.

კონსერვატორთა ყოველკვირეული ორგანო „სპექტეტერი" სუსტად სთვლის ხელშეკრულების მუხლს, რომელშიაც არ არის აღნიშნული გარკვევით საბჭოთა კავშირის სესხის რაოდენობა და სავალდებულო გადასახადები, რომლებიც იკისრა საბჭოთა მთავრობამ. „მაგრამ,—განაგრძობს გაზეთი—მთავარი საკითხი ის არის, რომ მოიქცა თუ არა სწორედ ინგლისის მთავრობა, რომელმაც დასდო ასეთი არასრული ხელშეკრულება, რათა არ დაეშვა მოლაპარაკების ჩაშლა. ის სწორედ მოიქცა, რადგანაც ჩაშლას ამჯობინა ხელშეკრულების დადება, რომელიც არ არღვევს დიდი ბრიტანეთის ინტერესებს, არამედ მოაქვს სარგებლობა.

კონსერვატორების ლიდერი.

კონსერვატორების ცნობილმა ლიდერმა ლორდ ბერკენხედმა კონსერვატორთა კრებაზე განაცხადა, რომ ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულება ამტკიცებს მუშათა მთავრობის დიპლომატიურ გულწრფელობას.

ბერკენხედის სიტყვით ხელშეკრულება პირობითია, ვინაიდან მისი განხორციელება დამოკიდებულია იმაზე—იძლევა თუ არა სესხის გარანტიას ინგლისის მთავრობა, რაიც მეტად ესაჭიროება საბჭოთა მთავრობას.

„საბჭოთა მთავრობა"-ს-განაცხადა ბერკენხედმა—„არამც თუ მართებს ჩვენი ფული, მან უარიც კი განაცხადა გადახდაზე. ის აწყობდა ჩვენს წინააღმდეგ შეთქმულებებს ბრიტანეთის იმპერიის ყველა კუთხეებში, ამიტომ—დაცინვით დასძენს ის-საჩქაროდ უნდა მიეცეს მას სესხი".

ბერკენხედი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ხელშეკრულებისთვის საჭიროა პარლამენტის მიერ დამტკიცება და ამბობს, რომ პარლამენტი მას არ დაამტკიცებსო.

მოწოდება ანტი-საბჭოთა ფრონტისკენ.

ინგლის-საბჭოთა შეთანხმების შესახებ „მატენი" სწერს, რომ საბჭოთა მთავრობა მეტად დაინტერესებულია საფრანგეთის მიერ ცნობით, რომელიც საშვალებას მისცემს მას შეუთანხმდეს შეერთებულ შტატებს. დადგა დრო, როცა მთელი ევროპა უნდა გაერთიანდეს საბჭოთა მთავრობასთან მოსალაპარაკებლად, ვინაიდან ყოველი მოლაპარაკება, რომელიც კი დაიწყო საბჭოთა კავშირმა ცალკე სახელმწიფოებთან, უკანასკნელთა საზარალოდ დამთავრდა.

ამხ. რაკოვსკის განცხადება.

„იუმანიტეს" კორესპონდენტთან საუბარში ამხ. რაკოვსკიმ განაცხადა: „ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულება სსრკ-ს გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს. ეს შეთანხმება მოწმობს იმას, რომ საბჭოთა კავშირი გამსჭვალულია კეთილი ზრახვებით.

საფრანგეთთან მოლაპარაკება გაცილებით ძნელია, ვინაიდან საფრანგეთის მესაკუთრეთა ხელში მყოფი ფასიანი ქაღალდები აღემატება ინგლისისას.

რაკოვსკის აზრით ერიო მიჰყვება მაკდონალდის მაგალითს, ვინაიდან საბჭოთა კავშირი წარმოადგენს ისეთ ძალას, რომელსაც ანგარიში უნდა გაეწიოს.

ჩვენი წარმომადგენლობა მექსიკაში.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებმა და მექსიკის ელჩებმა ბერლინში დაადგინეს დაამყარონ ნორმალური დიპლომატიური ურთი-ერთობა და გაგზავნონ თავიანთი რწმუნებულები ამ ქვეყნებში.

ჩვენი რწმუნებულების გამგზავრება მექსიკაში და მექსიკის რწმუნებულთა მოსკოვში ჩამოსვლა მოხდება ახლო მომავალში.

საფრანგეთ-გერმანიის კომერციული ხელშეკრულება.

ერიო-კლემანტელის წინადადება.

ერიომ განუცხადა მარქსსა და შტრეზემანს, რომ საფრანგეთს არ აქვს განზრახვა გააგრძელოს რურის ოკუპაცია, როგორც საფრანგეთის უზრუნველყოფის წინდი.

მაგრამ საფრანგეთს სურს მიიღოს ერთგვარი უპირატესობანი, როგორც კომპენსაცია ევაკუაციისთვის. ასეთი კომპენსაცია იქნება ახალი სავაჭრო ხელშეკრულება საფრანგეთსა და გერმანიას შორის, ფაქტიურად ეს იქნება საფრანგეთ-გერმანიის ეკონომიური შეთანხმება, რომელიც გააძევებს ევროპის კონტინენტიდან ინგლისისა და ამერიკის ვაჭრობას. ეს შეთანხმება უნდა მოხდეს ახალ კონფერენციაზე ბერლინში ან პარიზში.

გერმანიის განიარაღება.

რეიტერის ცნობით, საფრანგეთის წინადადებამ რურის ევაკუაციის შესახებ ერთი წლის განმავლობაში, კარგი შთაბეჭდილება მოახდინა კონფერენციის წრეებში.

საფრანგეთის წრეებში ფიქრობენ, რომ გერმანიის მთავრობა არ შეუშლის ხელს ამ წინადადების ასრულებას, რომელიც შეიცავს აგრეთვე საფრანგეთ-გერმანიის სავაჭრო ხელშეკრულების საკითხს.

ერიომ აცნობა მაკდონალდს, რომ საფრანგეთის საზოგადოება განსაკუთრებული ინტერესით ადევნებს თვალყურს გერმანიის განიარაღების საკითხს და ურჩია ითათბირონ ამ საკითხის გარშემო გერმანიის დელეგაციასთან.

რეიტერის ცნობის თანახმად, მაკდონალდმა მიიღო ეს წინადადება.

მოკავშირეთა კონფერენცია

უშუალო მოლაპარაკება.

11 აგვისტოს გაიმართა უშუალო მოლაპარაკება საფრანგეთისა და გერმანიის დელეგაციებს შორის რურის სამხედრო ევაკუაციის შესახებ მარქსსა და შტრეზემანს ხშირი თათბირი ჰქონდათ ერიოსა და ტენისთან.

შეთანხმება მიღწეულია.

ერიომ აცნობა მაკდონალდს, რომ გერმანელებთან მოლაპარაკება რურის ევაკუაციის შესახებ კარგად მიდისო.

მაკდონალდმა საჩქაროდ აცნობა ეს ამბავი მეფეს.

შემთანხმებელთან ერთად.

ერიოსთან ერთად ლონდონში მივიდენ სოციალისტების ლიდერები რენოდელ და გრუმბახი.

სამარცხვინო კაპიტულიაცია.

პროფესორ მორის დერატვოლის წერილი, რომელიც მოთავსებულია „სენდეი ტაიმს"-ში, სავსებით გაჟღენთილია ანტისაბჭოთა სულით.

ხელშეკრულების მუხლს პრეტენზიებსა და სესხის შესახებ დერატვილი უწოდებს „ბრიტანეთის მთავრობის სამარცხვინო კაპიტულიაციას საბჭოთა ფინანსიურ სოფისტიკის წინაშე".

ქვეითა წერილი ჰგმობს საბჭოთა ვაჭრობის წარმომადგენლების ხელშეუხებლობის ცნობას და აცხადებს, რომ მუხლი ზღვაოსნობის შესახებ საფუძვლიანად არღვევს ბრიტანეთის მეთევზეობის ინტერესებს.

ფინეთის ჯარის რღვევა.

ფინეთის ჯარის სარდალთან ერთად გადადგა შტაბის უფროსი, გენერალი ენკილიე.

ინგლისის რეაქციონერებს ბრაზი მოსდით.

ყოველკვირეული გაზ. „სენდი ტაიმსი“ უერთდება რეაქციონურ წრეების აზრს ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულების შესახებ და ამბობს, რომ ხელშეკრულება ერთის მხრივ გაურკვეველია და რჩება მრავალი არსებითი საკითხი გადაუჭრელიო.

„არას დროს საქმიანი ალღოს მქონე მთავრობა არ მოაწერდა ასეთ ხელშეკრულებას ხელს და პარლამენტი მართალი იქნება, თუ მას არ დაამტკიცებს“ ამბობს გაზეთი.

„ჟურნალი“ განაგრძობს: „თუმცა მაკდონალდი ისეთსავე უფლებიანობას იჩენს, როგორც ინგლისის ყოველი საგარეო საქმეთა მინისტრი, მაგრამ ის მაინც ტყვე არის უკიდურესი მიმდინარეობისა მუშათა პარტიაში, რომელიც კანტროლს უწევს მთავრობის ყოველგვარ მოქმედებას ცოტა არ იყოს არა მეგობრული მიდგომით.

შედეგად მივიღეთ ხელშეკრულება, რომელიც ამცირებს ბრიტანეთის სახელს.

არ შეუძლია ეს ხელშეკრულება დაამტკიცოს პარლამენტმა თავის პატივისცემისა გამო.

ამერიკა არ სცნობს ბესარაბიის ანექსიას.

ნიუ-იორკიდან რუმინეთში დაბრუნდა ადმირალი იმერესტკუ, რომელმაც განაცხადა, რომ ამერიკა ბესარაბიის ანექსიას არ სცნობს, რის გამო ამერიკაში გასული ბესარაბიის მცხოვრებლები ირიცხებიან არა რუმინეთის, არამედ საბჭოთა ნორმაში.

საბჭოთა ფედერაციაში

მოსკოვში მყოფ ოსმალეთის ელჩის აზრი.

როსტას თანამშრომელთან საუბარში ოსმალეთის ელჩმა მუხთარბეიმ ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულების მნიშვნელობის შესახებ აღნიშნა, რომ ეს ხელშეკრულება უმთავრესია იმ პოლიტიკურ მიღწევათა შორის, რომელსაც კი ჰქონია ადგილი საბჭოთა ხელის-უფლების დროს.

ეს შეთანხმება გააძლიერებს საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობას, ხოლო მეორე მხრივ გააძლიერებს კავშირთა ეკონომიურ ზრდას.

ჯაშუშის შეპყრობა.

სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს მიერ შეპყრობილ იქმნა, მინსკში არსებულ პოლონეთის გენერალურ საკონსულოს თანამშრომელი ქალი კულჩინსკაია, რომელსაც აღმოაჩნდა მნიშვნელოვანი საიდუმლო საბუთები.

საგარეო საქმეთა კომისრის და პოლონეთის კონსულის თანდასწრებით პატიმარმა განაცხადა, რომ ეს საბუთები ეკუთვნიან მას და ვითომც მიღებული აქვს უცნობისაგან.

ინგლის-საბჭოთა კონფერენციის საბოლოო სხდომა

გუშინ ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში, პანსონბის თავმჯდომარეობით მოხდა ინგლის-საბჭოთა კონფერენციის საბოლოო სხდომა.

ამხ. რაკოვსკიმ წაიკითხა დეკლარაცია, რომელშიაც სხვათა შორის გამოთქმული იყო საბჭოთა მთავრობის შეხედულება განიარაღების საკითხის შესახებ.

სხდომის დახურვისას ორივე მხარემ გამოსთქვა კმაყოფილება მოლაპარაკების სასურველად დამთავრების გამო.

პოლონეთი

„პეპეესოველთა“ პროვოკაცია.

პოლონეთის სოციალისტური პარტიები განაგრძობენ გაძლიერებულ აგიტაციას პოლონეთის კომპარტიის წინააღმდეგ.

ვარშავის კომიტეტმა გამოუშვა მოწოდება, რომელშიაც მიმართავენ მუშებს ალაგმონ ცალკე კომუნისტები.

მოწოდება მოითხოვს, რათა დათხოვნილ იქნან ფაბრიკებიდან და პროფკავშირებიდან მუშა კომუნისტები.

შემთანხმებელთა ახალი პარტია

უკრაინის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცალკე წევრები, რომლებიც გამოვიდენ პარტიიდან ადგენენ შემთანხმებელთა ახალ პარტიას, რომელიც პარალელური იქნება სოციალ-დემოკრატიული პარტიისა.

ახალი პარტიის შექმნის პროექტი დიდის თანაგრძნობით სარგებლობს პოლონეთის მმართველ წრეებში.

„პეპეესოველებმა“ ვერ შესძლეს გაფიცვების ჩაშლა.

პოლონეთის სოციალისტურ პარტიების ცდები ჩაეშალათ ზემო—სილეზიაში გაფიცვები, უშედეგოთ დამთავრდა.

ფაბრიკა-ქარხნების ყრილობამ გადასწყვიტა გააძლიერონ გაფიცვები.

შრომის მინისტრი დოროვსკი მივიდა ზემო—სილეზიაში გაფიცულებთან მოსალაპარაკებლად.

პოლონეთის ლეგიონერთა 10 წლის თავი.

პოლონეთის ლეგიონთა წარმოშობის ათი წლის თავის გამო ლიუბლინში მოხდა ლეგიონერთა სადღესასწაულო ყრილობა, რომელზედაც სიტყვა წარმოსთქვა პილსუდსკიმ.

ინგლისის სავაჭრო მინისტრის ამხანაგი ხელშეკრულების შესახებ

ინგლისის სავაჭრო მინისტრის ამხანაგმა უაიზმა, რომელიც ამ ჟამად მოსკოვში იმყოფება, როსტას წარმომადგენელთან საუბარში განაცხადა: „ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულებას უეჭველია დიდის კმაყოფილებით შეხვდება მოსახლეობის ფართო ფენები, განსაკუთრებით სავაჭრო მრეწველობისა და ფინანსიური წრეები.

ამ საკითხში მუშათა კლასი და მრეწველები ხელი-ხელ ჩაკიდებული მიდიან და მოითხოვენ ურთიერთობის საჩქაროდ აღდგენას საბჭოთა კავშირთან“.

შემდეგ უაიზი შეეხო სავაჭრო კრედიტების საკითხს და აღნიშნა, რომ დღეს ეს საკითხი სულ სხვაგვარად გადაიჭრება.

„დღეს—სთქვა უაიზმა—ჩვენ გამოვიმუშავეთ ხელშეკრულება ერთ ცნობილ ინგლისის ფაბრიკანტთან, რომელმაც უნდა მიაწოდოს საბჭოთა კავშირს სასოფლო-მეურნეობის მანქანები კრედიტში ხუთი წლის ვადით.

ეს მხოლოდ პირველი მერცხალია.

მსგავსი ხელშეკრულება ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცევა.

ინგლისის მაგალითი უეჭველია გავლენას მოახდენს სხვა ქვეყნებზედაც.

რადიო ყოველ მხრიდან.

მომენტი არ მომწიფებულა.

ჩეხო-სლოვაკიის პრესაში გამართულ დისკუსიასთან დაკავშირებით გერმანელთა მონაწილეობის შესახებ მთავრობაში, „ლიუდოვინოვინი“. ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ არ მომწიფებულა მომენტი, როდესაც გერმანელებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ კაბინეტში, რისთვისაც საჭიროა ლოიალური დამოკიდებულება გერმანელ პარტიებისა სახელმწიფოსთან.

ტანვარჯიშობის საზოგადოებათა ყრილობა.

პრაგაში გაიხსნა გერმანიის ტანვარჯიშობის საზოგადოებათა ყრილობა, რომელზედაც მონაწილეობა მიიღო 25.000 კაცმა.

წითელ პროფინტერნის წარმომადგენელმა მიესალმა ყრილობას და აღნიშნა, რომ საბჭოთა დელეგაციის დღემდისაც არ მისცემია ნებართვა ჩეხო-სლოვაკიის ტერიტორიაზე შესვლისა.

მუსოლინის საკითხი.

ინგლისმა შეიტანა ერთა ლიგის არბიტრაჟში საკითხი საზღვრების გარკვევის შესახებ ირაკსა და ინგლისს შორის.

მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.

(საუბარი წითელ არმიელთან).

წინეთ, ნიკოლოზის დროს, მაშინ როდესაც მამასახლისიც ჩვენი ბატონი იყო, ბოქაული, გუბერნატორი და სხვები, გახედავდი თუ არა ჭისკრისკენ შენიშნავდი გზირს.

გლეხმა უკვე იცოდა ყოველივე გზირის დანახვისას.

ჯორკიდებულ ოქროებს არ მოუტანდა იგი გლეხს. არც ვილაც დიდი კაცის სამსახურიდან გაანთავისუფლებდა.

პირიქით... რახან გზირი მოვიდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ იგი ფულს თხოულობდა.

მართლაც და გასაკვირი და სავალალო იყო მაშინ ჩვენი საქმე.

ეს მიწის ბაჟიო, ეს მასწავლებლის, ეს მღვდლის, ეს ერის, ეს ბერის და რა ვიცი რა ჯანდაბის არა. დღე ერთი იყო, გზირი ოცჯერ უნდა მოსულიყო. ამ მეოცედ მოსვლის შემდეგაც არ იყო კაცი დაწყნარებული. მეოცდაერთჯერ მოსალოდნელი იყო მოსვლა.

სად მიდიოდა ეს ფული?

სახელი მას სახალხო ერქვა, სინამდვილეში კი ნიკოლოზის მიერ დაყენებულ ჩინოვნიკებს უნდებოდა.

არც ერთი კაპეიკი იმ თანხისა საერთო, საზოგადო საქმეს არ ხმარდებოდა.

მასწავლებლისას ღებულობდენ, მაგრამ იგი მაინც მშიერი იყო.

სკოლების აშენებაზე, შეკეთებაზე, საავადმყოფოს დაარსებაზე არავინ ზრუნავდა.

თუ რომელიმე „კნეინას“ მოეპრიანებოდა და თავის გარემოში სკოლის ან საავადმყოფოს დაარსებას მოისურვებდა, ამას მაინც გლეხებიდან ახალი გადასახადის აკრეფით შეასრულებდენ.

ვინმე დიდი, ლიპიანი კაცი მოვიდოდა სოფლად, აბა გამოდი ივანე და უქაჩე ბარგი-ბარხანა. სოფელო, მიეცი ბინა, გათბობა, განათება, ცხენი, და რა ვიცი რამდენი ჯანდაბა არ აწვა სოფლის მშრომელ გლეხობას ზურგზე.

ჩვენ მაშინ ამ გადასახადების წინააღმდეგი ვიყავით.

სოფლად მოსული მქადაგებელი, თავის სიტყვაში ხაზს უსვამდა, რომ არც ერთი კაპიკი არ უნდა გადაიხადოთო.

რატომ?

იმიტომ, რომ სოფელს ამ გადასახად დან არაფერი არ ხმარდებოდა, იგი, როგორც ვსთქვით მეფის მოხელეებს უნდებოდა. მეფის მოხელეები და თვით მეფე კი მოსისხლე მტერი იყო ხალხის. და როგორ შეიძლებოდა მოსისხლე მტრის გასაძლომად და გასაღონიერებლად გადასახადის შეტანა?!

საზოგადო საქმეს არ ხმარდებოდა ძველად გადასახადი მეთქი, ვსთქვი მე ზევით. მაგრამ საქმე ის არის, რომ კიდევაც, რომ მოხმარებოდა ჩვენ იმის მაინც წინააღმდეგი ვიქნებოდით.

ეს იმიტომ, რომ ნიკოლოზის მთავრობა, რაც ღონიერი იქნებოდა მით უფრო ძნელი ჩამოსაგდები იყო.

გადასახადზე ჩვენ ლაპარაკი დღესაც გვიხდება.

აი, ჩვენში არსებობს **მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.** ესეც, მართალია, გადასახადია; მაგრამ ამ გადასახადსა და იმ გადასახადს შორის ძალიან დიდი განსხვავებაა.

პირველ ყოვლისა ის, რომ დღეს პატრონიცა და ბატონიც ჩვენი თავის ისევ ჩვენკე ვართ. ჩვენ ქვეყანას მმართავს ჩვენი წრიდან არჩეული ხალხი. ისინი არჩეული არიან ჩვენ მიერ არა ჭათრახის შიშით, როგორც ძველად მამასახლისს გვარჩევიებდენ, არამედ ჩვენი საკუთარი ნებით და სურვილით. ჩვენ შეგვეძლო და შეგვიძლია ივანე კი არა პეტრე ავირჩიოთ, პეტრეს მაგივრად გოგია. ერთი სიტყვით ის ვინცა გვსურს.

გარდა ამისა ეს ხალხი არ არის არჩეული სამუდამოდ; მათ განსაზღვრული დრო აქვთ. შემდეგ პასუხს მოვსთხოვთ გაკეთებულ-წახდენილში, შევაფასებთ მათ საქმიანობას, ან მათ ავირჩევთ ან სხვას.

ეს ხალხი აკეთებს ჩვენს საქმეს, საერთო საქმეს.

ამ საერთო საქმის გაკეთებას კი ფული ესაჭიროება.

ჩვენი მთავრობა კი ე. ი. ჩვენ (ვინაიდან მთავრობასა და ჩვენს შორის არაფერი განსხვავება არ არის) ჯერ არ არის და ვერა ვართ იმდენად მოღონიერებული, რომ საერთო საქმის გასაკეთებლად გადასახადი არ გადაგვახდევიოს—არ გადვიხადოთ.

ამიტომ, არის დაწესებული მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.

იგი ხდება, მას ვისაც გადახდა შეუძლია. არაფრის მქონეს გადასახადი არ ხდება. გადასახადიდან თავისუფლდებიან გვალვისაგან დაზარალებული სოფლები; ჩვენში ეხლა საქონლის ჭირია. იგი ზოგ გლეხს დიდ ზარალს აძლევს: უწყვიტავს საქონელს. არც ასეთებს გადახდება იგი.

ერთი სიტყვით მთავრობა ყოველ ზომებს ღებულობს, რათა ღარიბი კაცი არ იყოს შეწუხებული.

ძველებურს არ გავს გადასახადი იმათაც, რომ იგი ერთია, მთლიანია.

გადიხდი—მთელი წლის განმავლობაში თავისუფალი ხარ.

აი ეს უნდა ვიცოდეთ თვითეულმა ჩვენთაგანმა. ამაზე უნდა მივსწეროთ სოფლად. რაც უფრო ადრე და რაც უფრო მეტი თანხა იქნება საერთო სალაროში შესული, მით უფრო ადრე და მით უფრო ბევრ გაჭირვებულს მიეცემა დახმარება; მით უფრო ადრე აშენდება სკოლები, საავადმყოფოები და სხვა საჭირო დაწესებულებები.

ეს კი გაგვაღონიერებს ჩვენ და მუშურ-გლეხური მთავრობის მტერიც ვერაფერს დაგვაკლებს.

დროზე შევიტანოთ სამეურნეო გადასახადი. აი რა უნდა მივსწეროთ შინ მშობლებს და ნაცნობ-მეგობრებს.

პ. ბ.—ძე.

ჩვენს წითელ ჯარში

ჩვენი კულტურულ აღმშენებლობითი მუშაობა სოფლად.

უკვე მეოთხეჯერ მოუხდა სოფ. ფონაში წასვლა უმცროს მეთაურთა სკოლას, რომელიც ითვლება ამ სოფლის შეფად.

საღამოს ჟამი იყო, როდესაც გაისმა სოფ. ფონის ყოფილ ეკლესიის ზარების ხმა გლეხების თავის მოსაკრებლად. არ გასულა ერთი საათი, რომ ყოფილ ეკლესიის და ეხლა კლუბ-სამკითხველოს დარბაზში გაიხსნა ფონის საზოგადოების კრება, რომელსაც დაესწრენ დივსკოლის წარმომადგენლები.

კრებას უნდა გადაეწყვიტა სოფელში საკვირეულო სკოლის გახსნა და ზომები უნდა გამოენახა საკლუბო მუშაობის შესაფერ დონეზე დასაყენებლად. კრება გახსნა ამხ. ბაბლიძემ, რომელიც შეეხო მსოფლიო ომის ათი წლის თავს და აღნიშნა, თუ რა ზარალი მოუტანა ომმა მშრომელ ხალხს.

მეორე მოხსენებით საკლუბო მუშაობის შესახებ გამოვიდა ამხ. თორაძე, რომელიც მოუწოდებს ადგილობრივ გლეხებს შეიძინონ საჭირო ინვენტარი და მოაწყონ კლუბი.

ამის გამო ირჩევენ კლუბის გამგეობას 3 ადგილ. გლეხებისაგან.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის აუცილებლობის შესახებ გლეხობაში ილაპარაკა ამხ. ქერქაძემ. მის შემდეგ შამოვიდა სხვა და სხვა განცხადებები, მათ შორის, ნოზაძისა განცხადება, რომელიც თხოულობდა, რომ ახალი წესით, ე. ი. კომუნისტურათ მონათლულიყო მისი 4 თვის ქალი. ამაზე შესაფერისი პასუხი გასცა ამხ. ბაბლიძემ და დაჰპირდა, რომ ნათლობას 11 აგვისტოსათვის.

იქაური გლეხკაცობა ძლიერ არის დაინტერესებული ყოველივე კულტურულ-განმანათლებელ და აღმშენებლობითი საქმით.

ა. თორაძე.

ჩვენი საქმიანობა.

ჩვენი უფროს მეთაურთა სკოლა თავისი დაარსების დღიდან წელს მესამედ არის გასული საბანაკოდ. პირველ წლებში უფრო ცუდი მდგომარეობა იყო, რადგან სკოლა ვერ აღწევდა მთლიანად პროგრამის შესრულებას.

წელს კი სრულიად სხვა მდგომარეობაა საბანაკო პრაქტიკული მეცადინეობა მშვენივრად მიმდინარეობს. ასე რომ სკოლამ თავისი საზაფხულო პროგრამა თითქმის ამოსწურა და კურსანტებიც კარგად არიან მომზადებული.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ისინი ადვილად შეასრულებენ წითელ ჯარში ნაყოფიერი მუშაობის წარმოებას.

სამოსწავლო და სამწყობრო მეცადინეობა.

ორივე ეს დარგები თავის სიმაღლეზე სდგანან. საზაფხულო პროგრამა თითქმის ორ თავეში დასრულდა. მეცადინეობა უნდა შეწყდეს 15 აგვისტოს და 22-ში კი ვემზადებით წასასვლელად. სამოსწავლო ნაწილი უკვე შეუდგა გამოსაშვებ კურსანტების გადარჩევას. ყველა უღირსი და სკოლისათვის შეუფერებელი პირები დათხოვნილი იქნენ.

მეთაურთა შემადგენლობა.

სკოლის მეთაურთა შემადგენლობა ენერგიულად მოქმედებს. მთელ თავისი ცოდნა და გამოცდილება გამოიჩინეს ჩვენი მომზადებისა და აღზრდისათვის. იმედია მომავალშიც ასე დაუზარებლად გააგრძელებენ თავის საქმიანობას.

სამნეო ნაწილი.

ჩვენი სამნეო ნაწილის მუშაობა არა ერთხელ აღგვინიშნავს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. უნდა ითქვას სიმართლე, რომ სამნეო ნაწილი ბოლომდე შერჩა თავის ასეთ დამაკმაყოფილებელ საქმიანობას.

რასაც კი ღებულობს სკოლა კურსანტებისათვის, ის უკლებლივ ურიგდებათ. სადილები მშვენიერი მზადდება. აბანო და სუფთა საცვლები ყოველ კვირაობითაა.

კლუბი, სამკითხველო და დრამწრე.

კლუბი კარგად არის მოწყობილი ბინაც ხელს უწყობს. სამკითხველოში მრავლად მოიპოვება სხვა და სხვა შინაარსის წიგნები და ჟურნალ-გაზეთები.

მკითხველებიც ბლომად არიან. მხოლოდ არაფერი ეშველა და არ მოწესრიგდა გაზ. „კომუნისტის“ მოწოდების საქმე.

დრამწრეც ენერგიულად აწარმოებს მუშაობას. ხშირად იმართება წარმოდგენები, როგორც სკოლაში და ქალაქში, ისე მახლობელ სოფლებშიაც.

სპორტი.

ამ ბოლო ხანებში სასპორტო წრემ მეტად გააძლიერა თავისი მუშაობა. დარიგდა სავარჯიშო ტანისამოსი და ფეხსაცმელები. ხშირად სწარმოებს ფუტბოლის თამაში და ეწყობა შეჯიბრება, როგორც სამხედრო ნაწილებთან ისე კერძო მოქალაქეებთანაც.

ამიერ კავკასიის ოლიმპიადაში გამარჯვება წილად ხვდა ჩვენს სკოლას.

უმწყობრო გუნდი.

დიდი ყურადღება ექცევა უმწყობრო გუნდის წ. არმიელებს. მოწყობილი აქვთ ლენინის კარავი, სადაც სისტემატიურად სწარმოებს მეცადინეობა.

პარტბიურო.

აღსანიშნავია პარტბიუროს გაცხოველებული მუშაობა. ყველა ამხანაგები ჩაბმულია კულტურულ მუშაობაში. ბიურო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ადგილობრივ გლეხებში მუშაობას.

ყოველ კვირაობით ტარდება სხვა და სხვა ხასიათის მოხსენებები. უჯრედის ღია კრებები ხდება ყოველ კვირაობით, რომლებსაც ესწრებიან თითქმის ყველა უპარტიო ამხანაგები და თავისი წვლილი შეაქვთ ამა თუ იმ საკითხის გადაჭრაში.

ახალგაზრდათა კომკავშირელების უჯრედი.

ეს უჯრედი თავისი საქმიანობით ოდნავაც არ ჩამოუვარდება ჩვენს უჯრედს. წევრებით უჯრედი მდიდარია, რომელმაც რვა სოფელში დაარსა კავშირის უჯრედები და ყველა სისტემატიურად აწარმოებს მუშაობას.

სარედაქციო კოლეგია.

სარედაქციო კოლეგიის მუშაობა გამოცოცხლდა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც თითეულმა ასეულმა და განყოფილებამ შესძლეს თავისი კედლის გაზეთის გამოშვება.

ამ ერთი თვის განმავლობაში სკოლაში გამოვიდა სულ თერთმეტი ცალი კედლის გაზეთი.

გაზეთები მაინცა და მაინც, როგორც თავისი მხატვრობით ისე შინაარსით ვერ სტოვებენ კარგ შთაბეჭდილებას, მაგრამ იმედია ჩქარა გამოსწორდება ეს ნაკლიც. ამ მოკლე ხანში გამოვა სკოლის ჟურნალი.

ამნაირად ჯერჯერობით ჩვენი საქმიანობა ყოველ მხრივ დამაკმაყოფილებელია.

ა. ჭკადუა.

ჩვენი საკლუბო მუშაობა.

8 აგვისტოს შესდგა საშ. ობოლაძის სახელობის უმცროს მეთაურთა მოსამზადებელ სკოლის პედაგოგიურ საბჭოს სხდომა, რომელსაც დაესწრო ყველა პასუხისმგებელი პოლიტ მომუშავენი და მასწავლებლები

დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები:

კომპლექსიური მეთოდის შემოღების შესახებ, სანიმუშო გაკვეთილების შემოღების შესახებ და პრეზ დიუმის არჩევნები.

კრებამ აუცილებელ საჭიროდ სცნო, რომ მეცადინეობაზე დაჩქარებით გატარებულ იქნას კომპლექსიური მეთოდი.

კვირაში ერთხელ თითეულმა პოლიტხელმა და მასწავლებელმა გადასცეს სანიმუშო გაკვეთილი; გაკვეთილის შემდეგ გაიმართოს სჯაბაასი მიცემული გაკვეთილის დეფექტებისა და დადებითი მხარეების შესახებ.

პრეზიდიუმში არჩეულ იქმნა სამი ამხანაგი, რომლებსაც დაევალა კვირაში ერთხელ მოიწვიონ პედაგოგიური სხდომა, სადაც შეთანხმებულად გამომუშავებულ უნდა იქნას ყოველკვირეული მუშაობის გეგმა.

დ. ჭანკვეტაძე.

მეორე ტერ-ლეგიონის ბიბლიოთეკა.

მეორე ტერიტორიალურ ლეგიონში დაარსების დღიდანვე მოწყობილი იქნა ბიბლიოთეკა, რომელიც თანდათანობით გარს იკრებს წითელ არმიელებს და უფ-პოლიტშემადგენლობას.

მართალია, ჩვენი ბიბლიოთეკა ჯერ კიდევ ღარიბია, არა აქვს საკმაო ლიტერატურა და ინვენტარი, მაგრამ ყველა ამას იმედია დავსძლევთ ახლო მომავალში.

ჯერ-ჯერობით სამკითხველომ შეიძინა 71 მკითხველი. ამათგან უმეტესობა წითელ არმიელებია (45) დანარჩენი უფ-პოლიტშემადგენლობიდან (26).

ბიბლიოთეკას აქვს 460 წიგნი. შემდეგისათვის აუცილებლად უნდა გაიზარდოს, როგორც მკითხველების, აგრეთვე წიგნთა რიცხვი.

ამ დღეებში დაარსებულ იქნა საბიბლიოთეკო წრე, რომლის მიზანია ლენინის კუთხეების გამგეების სათანადო მომზადება.

ასეთია ერთის თვალის გადავლებით ჩვენი ბიბლიოთეკის მუშაობა.

გან-კონი.

ჩვენი კლუბის მუშაობა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მეექვსე ტერ-ლეგიონის კლუბი მეტად ღარიბია და მოკლებული სათანადო რესურსებს, ის მაინც შეძლებისდაგვარად მუშაობს და ერთი წუთითაც არ ჩამორჩენია საერთო ფერხულს.

7 აგვისტოს მეხუთე ლეგიონის ძალების დახმარებით ჩვენი ლეგიონის თაოსნობით ადგილობრივ საზაფხულო კლუბში გაიმართა წარმოდგენა.

მონაწილეობა მიიღო უფპოლიტშემადგენლობამაც.

წარმოდგენილი იქნა ე. ხუციშვილის ახალი პიესა „ომი“, რომელიც მიმართულია მსოფლიო ომის წინაამდეგ.

დაიდგა აგრეთვე ერთაწმინდელის პიესა „დაჭრილი ორბი“.

პიესები მშვენივრად იქნენ ჩატარებული. განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა წითელ არმიელებზე ხუციშვილის ინსცენიროვკამ.

წარმოდგენის დამთავრების შემდეგ აიხადა ფარდა და გამოჩნდა ჩვენი დიდი ბელადის ლენინის სურათი.

იგრიალა ინტერნაციონალმა და მთელმა დარბაზმა ფიცი დასდო დიდი ბელადის ხსოვნის წინაშე, რომ მთელი თავისი შესაძლებლობით შეებრძოლებიან იმპერიალისტურ ომის გამოწვევის ყოველგვარ ცდებს.

ს. სამტრედიელი.

პარტიული ცხოვრება.

საარტილერიო დივიზიონში.

პირველ აგვისტოს შესდგა მეორე დივიზიის შეერთებული საარტილერიო დივიზიონის პარტ ამხანაგების საერთო კრება.

დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები: კომუჯრედის მნიშვნელობა წითელ ჯარში და მისი დაარსების აუცილებლობა. მდივნის არჩევა, პარტიული დღის დანიშვნა და სხვა.

პირველი საკითხის შესახებ სიტყვა სთქვა არტილერიის სამკომ ამხ. კაპ. კალანდაძემ.

ამხანაგი ფართეთ შეეხო უჯრედის მნიშვნელობას და მრავალი საყურადღებო მაგალითები მოიყვანა კომუჯრედის მუშაობიდან, რომლებიც ჩვენთვის თითქმის ახალი იყვნენ.

მოხსენების შემდეგ ამოირჩიეს უჯრედის მდივანი.

პარტიულ დღეთ კრებამ ერთ ხმად მიიღო ხუთშაბათი. ამასთანავე ამორჩეულ იქნა უჯრედის პარტკორიც და შემდეგ კი გაირჩა სხვა და სხვა შინაური ხასიათის მიმდინარე საკითხები.

თ—ვა.

პატარა ფელეტონი.

ქალების დემონსტრაცია

რვა მარტი არ გეგონოთ... ბაღში, რომლის გვერდითაც ბედნიერება მიეცა ჩვენს რედაქციას არსებულიყო, სიჩუმე სუფევდა. ჯერ პირველის ნახევარი არც კი იქნებოდა, რომ გამოჩნდა ბანოვანი ლურჯებში და დაიწყო ბაღში სტრატეგიული გზებით სეირნობა... ჩაფიქრებული მიდიმოდიოდა...

მეორე სართულის კიბიდან ჭიკჭიკით დაეშვნენ კიდევ რამოდენიმე ქალიშვილები, სარკეებით, პუდრის კოლოფებით და სხვებით და სხვებით. სიჩუმე ჟრიამულმა შესცვალა.

და აღსდგა ერთი მათგანი და ლაღად ყო: ღფხანიკო ქალებო, (წვრილის ხმით) ქალთა ენას ქხუფათიის*) პრინციპები ჩვენ არ გვავალებენ, რომ უსათუოდ მანქანაზე ვაკაკუნოთ და ვიმუშაოთ, (უფრო წვრილის ხმით) უკეთესია საზოგადოთ საკუთარ ტუალეტზე მუშაობა. კარგი ტუალეტი მოწონების საშუალებაა... თუმცა (ხმა უწვრილდება) ვაჟები მაინც აღარ თხოულობენ ცოლებს, (მეხი კი დავაყარე უცოლო ვაჟებს!) მაგრამ ჩვენ ყოველთვის მაინც მზად ვართ... (სიტყვა აღარ ისმის),

მოწონების და ტაშის ხმა არ მოგვსმენია, ისე წამოსკუპდა მეორე ბანოვანი წყლის აუზის თავზე და ანკესით ხელში დაიწყო:

— იჰ, ქა... რა სჯობია ეხლა ამ აუზში თევზების ჭერას. უი, ცეცხლიც მოეკიდებია ჩემს მანქანას, ერთი მე ის არ მიყვარდეს. ანიკო, არ იცი რა ღირს ზაქსში შეტანილ გათვისების განცხადების მარკები? იჰ, რა ჭკუაა ქმართან ყოფნა, ნეტავი ერთი სულელები არ იყოთ!

ტრიბუნაზე შესვლას აპირებდა მესამე ორატორი ქალი, მას უკვე განზრახული ჰქონდა, თუ რა ცეცხლური სიტყვებით უნდა მიემართა თავის „დაჩაგრულ“ ამხანაგებისათვის, უნდოდა ელაპარაკნა ძვირფასი ქსოვილების სიძვირეზე, მათი ჯამაგირის სიმცირეზე, ვაჟების ულმობელობაზე, დაწესებულებებში განზრახულ წმენდაზე“, ტუფლების საკითხზე და საზოგადოდ დიდსა და ღრმა-ღრმა პრობლემებზე, მაგრამ რედაქციისკენ ბაღით მომავალმა 2 სამხკორმა მათ ხელი შეუშალეს.

— ე, ბიჭო, რა ამბავში არიან, ეს ღვთისგან დალოცვილები! შეხედე, შეხედე!

— გამოვჭიმოთ გაზეთში!?

— გამოვჭიმოთ!

და სამხკორებმა შეაღეს რედაქციის კარები.

—

მეორე დღეს ბაღში აღარ გამართულა დემონსტრაცია. წინა დღის ორატორები გუგულებივით იჯდნენ თავ-თავიანთ მაგიდებთან და გართული იყვნენ საქმეებში.

გალიფეში გამოწკეპილი ახალგაზრდები კი ფუჭათ ელოდნენ ბაღში ქალების გამოსვლას.

კანცელიარიის უფროსმა, რომ წაიკითხა გაზეთში ეს ამბავი გაიქნგამოიქნია თავი და დაჯდა.

—ტო.

---

*) წაიკითხე „ემანსიპაციის“.

გაზეთი გამოვეცით!..

მეორე ქართულ ტერიტორიალურ ლეგიონში ყოველგვარი მუშაობა სასურველად მიმდინარეობს.

ყველა დაფუსფუსებს, ყველა საქმეშია ჩაბმული.

ამხანაგების დაუზარებელი მუშაობა მტრებს თვალებს უბნელებს.

1 აგვისტო... გამოიკრა განცხადება—ლეგიონის ხელთ ნაწერ გაზეთის გამოშვების შესახებ.

ყველას უხარია, ყველა ცდილობს რაიმე მასალა მიაწოდოს ჩვენს გაზეთს...

6 აგვისტო....

ეს დღე დაუვიწყარი დარჩება ჩვენი ლეგიონერების ხსოვნაში.

გამოვიდა ჩვენი ორგანო:

„ამომავალი სხივი“.

საერთო აღტაცებაა.. ყველა ისწრაფვის მის წასაკითხავად.

ყველა ეტანება მას...

ესაა პირველი ნაბიჯი, ესაა პირველი ცდა ჩვენი ლეგიონისა და მომავალისთვის ჩვენ იმედს გამოვსთქვამთ, რომ ჩვენი გაზეთიც თავისს საპატიო ადგილს დაიჭერს ეხლანდელ ხელთ ნაწერ გაზეთთა შორის.

გან-კონი.

ბიბლიოგრაფია.

დ. დონდუა. „საქართველოს დედა ქალაქი ტფილისი“ სახელგამი. 1923 გვ. 135.

ჩვენი ლიტერატურა საბუნებისმეტყველო და საგეოგრაფიო წიგნებით მეტათ ღარიბია. ეს განსაკუთრებით პოპულიალურ, ხალხურ ენით დაწერილ თხუზულებათა სიმცირეში გამოიხატება. მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა ერთი უმდიდრესი და უტურფესი კუთხეთაგანია—ჯერჯერობით ამ მხრივ შეუსწავლელი და გაუცნობელია. ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრენი ჯერ კიდევ დედამიწის სიღრმეებში ინახებიან და მათი უმრავლესობა—შეუცნობი და გამოუყენებელია... თუ სადმე საჭიროა (და რომ ეს აუცილებელია ამაში ეჭვი არავის შეუა) საბუნებისმეტყველო-საგეოგრაფიო ცოდნის ფართო მასაში გავრცელება—ეს პირველ-ყოვლისა აქ. ალბათ ამით ხელმძღვანელობდა სახელმწიფო გამომცემლობა, როდესაც ზემოხსენებული შრომა მოწონებული სამეცნიერო კოლეგიის მიერ, გამოსცა ეს წიგნი, გარდა იმისა, რომ პირველი აღწერილობაა ტფილისისა ქართულათ,—შესანიშნავია იმითაც, რომ მეტათ მკაფიო და გასაგები ენითაა ნაწერი. წიგნი მეტათ ლამაზი გამოცემაა, მდიდრულათ დასურათებული და ამას გარდა ზედ ერთვის ტფილისის 2 გეგმა და 1 რუქა საქართველოსი. ხსენებულ შრომაში შემდეგი ოთხი მთავარი განყოფილებაა:

1. ტფილისის ყოფა-ცხოვრება.
2. ტფილისის მდებარეობა.
3. ტფილისის მიდამოები.
4. საქართველოს ზოგადი მიმოხილვა.

თითეული განყოფილება საკმაოთ გაშუქებულია, წიგნის საერთო ტანთან შეფარდებით და აგრეთვე დასურათებულიც თანამედროვე პედაგოგიკის უმთავრესი დებულება, მარტივიდან—რთულზე, ნაცნობიდან უცნობზე გადასვლა, მართლადაც ნათელია ის აზრიც, რომ სანამ უცხო ქვეყნის ყოფა-ცხოვრებას გავეცნობოდეთ—საჭიროა საკუთარი ქვეყნისა და ქალაქების შესწავლა, მისი ღირსება ნაკლულოვანობით. ამ მხრივ საგულისხმოა და მე მგონია სასურველ ნაყოფსაც მოგვიტანს, რომ ამ წიგნს გაეცნობოდეს ჩვენი წითელარმიელები, რომლებიც მეტათ ეტანებიან ყოველგვარ ცოდნას. სასურველია ამ სახელმძღვანელოს შეძენა ბიბლიოთეკებისთვის...

გრიან.

ძუკუ ლოლუას ხსოვნას.

მეტად სამწუხარო ამბავი გვაცნობა გაზეთებმა.

გარდაიცვალა სახალხო ლოტბარი ძუკუ ლოლუა, რომლის სიკვდილმა მწუხარებით აღავსო მეხუთე ლეგიონის მთელი შემადგენლობა.

ძუკუ ლოლუას მოღვაწეობის განხილვას ჩვენ აქ არ შეუდგებით, მაგრამ უნდა ავღნიშნოთ, რომ ის ჩვენ სამხედრო ნაწილებშიაც დაუღალავად ეწეოდა მუშაობას· არა ერთხელ აღუვსია ჩვენი გული უდიდესი სიამოვნებით მის მშვენიერ კონცერტებს.

ვის არ ახსოვს ჩვენი ლეგიონის უვადო შვებულებაში მიმავალ წით. არმიელების პატივსაცემად კლუბის მიერ საგანგებოდ გამართულ საღამოზე ძუკუ ლოლუა თავისი გუნდით, რომლის მიერ შესრულებულმა სხვა და სხვა სახალხო სიმღერებმა აღტაცებაში მოიყვანა ჩვენი ლეგიონის უფ-პოლიტ-შემადგენლობა და წით. არმიელები.

განა ვისმეს ჩვენთაგანს, როდისმე დაავიწყდება შთაბეჭდილება, რომელიც ძუკუ ლოლუას ხელმძღვანელობით, მისმა გუნდმა დასტოვა, ქუთაისის რკინის გზის კლუბში გამართულ საღამოზე? და ვინ ჩამოთვლის, თუ რამდენ ჩვენ მიერ გამართულ საღამოებზე სრულიად უსასყიდლოთ გამოსულა ძუკუ და ნეტარებით აუძგერებია ჩვენი წ. არმიელების გული.

მისი ღვაწლი ჩვენი ლეგიონის მიმართ დიდია და როგორც ასეთი მას მუდამ ტკბილად მოიხსენიებს მეხუთე ტერლეგიონი.

სამხკორი: ს. უბანი.

ასეთი საქციელი დაუშვებელია.

ჩვენს წითელ ჯარში ხშირად აქვს ადგილი ერთ არა სასურველ მოვლენას, რომელსაც მთელი თავისი ძალღონით უნდა ებრძოდეს თითეული პატიოსანი ამხანაგი.

რაშია საქმე?

ხშირად ახალწვეულ წითელ არმიელების გულუბრყვილობით სარგებლობენ ზოგიერთი ამხანაგები, და ვითომდა დიდი საჭიროების გამო, სესხულობენ მათგან იმ ორიოდე გროშებს, რომლებსაც ისინი ღებულობენ თავის მშობლებიდან.

სესხება,—ერთმანეთის დახმარება და სხვა—მეტად კარგი საქმეა. და სასურველიცაა, მაგრამ როდესაც სესხულობ იმ განზრახვით, რომ შემდეგ აღარ დაუბრუნო ეს დაუშვებელია და მეტიც—ყაჩაღობაა.

ასეთი მოვლენები ხშირია ჩვენი ჯარის ცხოვრებაში. ისესხებენ და შემდეგ კი აღარ იხდიან. სხვა არა იყოს რა ერთმანეთისადმი ნდობა დაიკარგა ჯარში. ეს დაუშვებელია. ეს არა სასურველი მოვლენა ძირშივე უნდა იქნას ამოფხვრილი. ამის წინააღმდეგ სათანადო ზომები უნდა იქნას მიღებული, ვისგანაც ჯერ არს. ასეთ მოვლენას ადგილი აქვს მეოთხე ლეგიონში.

თუ სამი დღის განმავლობაში ეს ვაჟბატონები არ გამოასწორებენ თავიანთ საქციელს, მე იძულებული ვიქნები გამოვაცხადო მათი გვარები პატაკში.

უშიშარი.

მეცნიერება და ტექნიკა

როგორ განვითარდა მოძრაობისათვის ელექტრონული ენერგიის გამოყენება.

ელექტრონული ენერგიის საშვალებით რკინის გზებზე მოძრაობა ეხლა შედის თავის განვითარების ტემპში, მიუხედავად იმისა, რომ მას თითქმის ასი წლის ისტორია აქვს. პირველი თვითმამოძრავებელი ეკიპაჟები ელექტრო მამოძრავებლებით შამოღებული იქნენ გასულ საუკუნის 30 ან წლებში.

ენერგიას მოძრაობისათვის ისინი ღებულობდენ იქვე მოთავსებულ გალვანის ბატარეიების საშვალებით.

ასეთი ელექტრო მზიდავი აგებული იქნა 1838 წელში შოტლანდიელ დავიდსონის მიერ, მაგრამ ის მალე შეიქნა გაუნათლებელი და ცრუმორწმუნე ხალხის მსხვერპლი. ამავე 1838 წელს რუსეთში—მდინარე ნევაზე ცნობილ ფიზიკის იაკობიმ ელექტრონის საშვალებით აამოძრავა პატარა გემი.

ყველა ამ ცდებს გასული საუკუნის 80-ან წლებამდე არავითარი პრაქტიკული შედეგები არ მოუციათ.

პირველი ნამდვილი ელექტრონის ტრამვაი გაყვანილი იქნა გერმანიაში ბერლინის ახლო. საჭირო ელექტრონული ენერგია მოძრაობისათვის თვითონ ვაგონში კი არ მუშავდებოდა, როგორც აქამდე, არამედ ვაგონს ამ ძალას აწვდიდა ცალკე სადგური.

ამავე წელში საფუძველი ჩაეყარა პარიზში აკუმულიატორიანი ტრამვაების შემოღებას.

ამერიკა ამ საქმეში პირველად მეტად ჩამორჩა ევროპას და პირველი ტრამვაი იქ შემოღებული იქნა მხოლოდ 1884 წელს, მაგრამ 10 წლის შემდეგ მან ექვსჯერ გაასწრო ევროპას და ამ საქმეში დღესაც პირველობს.

რუსეთში პირველი ტრამვაი 1882 წელში გაიყვანეს ქალაქ კიევში და შემდეგ კი ეს საქმე ერთობ ნელი ტემპით მიდიოდა წინ, მხოლოდ 1909—1910 წლებში საკმაოდ გამოცოცხლდა.

ომის დაწყებამდე რუსეთში სულ 50 ქალაქში იყო ტრამვაი გაყვანილი.

გასული საუკუნის მიწურულიდან დაწყებული, ელექტრონის გამოყენება მოძრაობისათვის უმეტესად დღემდე ტრამვაისათვის ხდება.

ამერიკაში იმდენად ძლიერ განვითარდა ტრამვაის საშვალებით მიმოსვლა, რომ ტრამვაის ქსელი დიდი ხანია გასცდა ქალაქების საზღვრებს. მთელი აღმოსავლეთი ამერიკა ამ ჟამად ტრამვაის ლიანდაგების ქსელითაა დაგებული.

უფრო გვიან იქნა ელექტრონული ენერგია გამოყენებული რკინის გზებზე.

პირველი ასეთი ცდა მოხდა ბალგი მორის ხრელის ელექტროფიკაციის დროს (ამერიკა). ეს იყო 1895წ.

უფრო ფართო გეგმები ასეთი მოძრაობისათვის 1910 წ. იქნა წამოყენებული, მაგრამ შესაფერი განხორციელება ვერ ჰპოვა ჯერ ერთი მსოფლიო ომის დაწყების გამო და მეორე ეს მხოლოდ იქ არის ხელსაყრელი, სადაც ენერგია ბლომად და იაფად მოიპოვება. ასეთია უმთავრესად მთაგორიანი ადგილები, სადაც ადგილობრივი წყლები დიდ სამსახურს უწევს ამ საქმიანობას.

ეხლა ეს საკითხი უფრო მოგვარებულია ამერიკაში, თუმცა არც იქ არის ძლიერ გავრცელებული.

ჯერ-ჯერობით მხოლოდ ქ. ჩიკაგოსა და სანპოლოს შორის არის გაყვანილი ელექტრო მაგისტრალური გზა 1056 კილომეტრის მანძილზე.

ახალი ამბები.

— **ცეკავშირი ეხმარება წითელ არმიას.** ცეკავშირი აწარმოებს ამ ჟამად თივის დამზადებას წითელი არმიის საჭიროებისათვის.

— **წითელი სასადილოები.** ამ დღეებში მოხდება წითელი სასადილოების დათვალიერება და იქ მომუშავეთა შემოწმება ჯანმრთელობის მხრივ.

— **წერა-კითხვის უცოდინარ. ბრძოლა.** მთავარ პოლიტმმართველობამ მაზრებში დაგზავნა საშემოდგომო სამუშაო გეგმები მცხოვრებთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობასთან საბრძოლველათ.

— **აბრეშუმის გატანა საზღვარგარეთ.** ბათომის ცეკავშირმა გადასწყვიტა მარსელში გასანაღდებლათ გაიტანოს 35 ვაგონი აბრეშუმის პარკი.

— **მთვარის დაბნელება.** დღეს 14 აგვისტოს ღამის 10 საათზე მოხდება მთვარის დაბნელება.

— **ელექტროფიკაცია გარე კახეთში.** ქალ. აღმასკომს გადაწყვეტილი აქვს გარე კახეთში გახსნას წყლით მამოძრავებელი სადგური.

— **უმუშევრობა და შრომის ბირჟა.** უკანასკნელ ხანს მეტად გახშირდა უმუშევართა ჩამოსვლა ერთი რესპუბლიკიდან მეორე რესპუბლიკაში. ა. კ. შრ. კომისარიატმა გადასწყვიტა დროებით აღკრძალოს ჩამოსულ უმუშევართა აღრიცხვა შრომის ბირჟებში.

— **მევენახეობის კურსები.** სოფ. ყვარელში (კახეთი) მოეწყო მევენახეობის კურსები გლეხობისათვის.

— **ა. კ. ცაკის სესია.** ა. კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესია მოწვეული იქნება 1-ლ სექტემბერს თფილისში.

— **ლენინიზმის შესასწავლათ.** ამ დღეებში პირველ გამასწორებელ სახლში ახ. კომკავშირის უჯრედი ხსნის ლენინის კუთხეს, ლენინიზმის შესასწავლათ.

— **ფართლეულობის გაიაფება.** ფართლეულობის ბაზრის მოსაწესრიგებლათ შინა ვაჭრობის კომისარიატმა შეადგინა კომისია, რომელსაც დაევალა საჭირო ზომების მიღება ფართლეულობის გასაიაფებლათ.

— **სახალხო სახლები სოფლათ.** სიღნაღის სამაზრო აღმასკომმა გადასდო ათას-ათასი მანეთი ნუკრიანისა და მაჩხაანის სახალხო სახლების საჭიროებათათვის და ათასი მანეთიც მაზრაში ზოგიერთი გზების შესაკეთებლათ.

— **წიგნების შეძენა.** სიღნაღის აღმასკომმა დაადგინა შეიძინოს 20 ქოხ.-სამკითხველოსათვის საჭირო წიგნები.

— **აჭარისტანის ელექტრო-სადგური.** აჭარისტანის ჰიდრო ელექტრო სადგურის საჭიროებისათვის აჭარის სახკომსაბჭომ დაადგინა გადასცეს ქარხანა „მარსი“ და მიწის სათანადო სივრცე.

— **ახალი ჰიდრო ელსადგური.** ლაგოდეხის მეთამბაქოეთა კოოპერატიულმა ამხანაგობამ „შველამ“ გადასწყვიტა ლაგოდეხში საკუთარი ხარჯით ააშენოს ჰიდრო ელექტრონული სადგური.

— **თვით დაბეგვრა ელექტროფიკაციისათვის.** საქ. სახკომსაბჭომ ნება დართო სიღნაღის სამაღმასკომს გაატაროს შეძლებულ მცხოვრებთა თვითდაბეგვრა 1 მილიონი მანეთის რაოდენობით, მაზრაში ელექტროფიკაციისა, მელიორაციისა და სხვა საალმშენებლო სამუშაოთათვის.

— **სიღარიბის მოწმობების გაცემა.** ოზურგეთის სამაღმასკომმა დაუგზავნა ცირკულიარული ახსნა-განმარტება გლეხკომებს, რომ მათ შეუძლიანთ გასცენ მხოლოდ სიღარიბის მოწმობები და არა კეთილსაიმედობის, როგორც ამას აქნამდე სჩადიოდენ.

— **სტუდენტთა სასადილო.** პროლეტ. სტუდენტობის ცენტრ. ბიუროს დადგენილებით ტფილ. სტუდენტთა სასადილოში განახლდება სადილების მზადება 15 აგვისტოდან.

ჩვენი ფოსტა.

ამხ. გრ. კვარაცხელიას. თქვენი წერილი ამხ. ბუჯიაშვილის გაცილების შესახებ არ დაიბეჭდება. ამის შესახებ უკვე გავიდა ჩვენს გაზეთში.

ამხ. ბ. ჩხიკვიშვილს. შემოიარეთ რედაქციაში განმარტებისათვის.

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 1300 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი—პ. ბუაჩიძე.